PDF Eraser Free

დანართი №2

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ-კოლეჯი „ოპიზარი“

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ნაზო წიბლიაშვილი
წევრები: თამარ ზარანდია

(თბილისი 2020)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ-კოლეჯი „ოპიზარი“

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადი საგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

PDF Eraser Free

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 09/06/2020 MES 7 20 00450007 (ცვლ. 2020 წლის 11 ივნისის MES 1 20 00458751) ბრძანების საფუძველზე, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შემადგენლობით -ნაზო წიბლიაშვილი (ჯგუფის თავმჯდომარე) და თამარ ზარანდია (ჯგუფის წევრი) 2020 წლის2 ივლისს განახორციელა ვიზიტი სსიპ-კოლეჯ „ოპიზარში“ (შემდგომში „დაწესებულება“/ „კოლეჯი“).

ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის -„ფერმერობა“ დამატების მიზნით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული “საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების” 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შემოწმება.

ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა კოლეჯის მიერ გამოგზავნილი დოკუმენტაცია და შემუშავდა ვიზიტის დღის წესრიგი.

ვიზიტი განხორციელდა წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგის შესაბამისად (დანართი 1).

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული შიდა მარეგულირებელი აქტები და გადამოწმდა დაწესებულების მიერ მათი შესრულების არსებული პრაქტიკა, რისთვისაც განხორციელდა ინტერვიუ პასუხისმგებელ პირებთან და გამოთხოვილ იქნა შესაბამისი დოკუმენტაცია.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა ინტერვიუ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან. მოხდა საგანამანთლებლო პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შემოწმება და პასუხისმგებელ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პირებთან გასაუბრება; გადამოწმდა საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობა და მისი შესაბამისობა მისიასთან, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებთან მიმართებით. ვიზიტის დასასრულს, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეაჯამა გაწეული მუშაობის შედეგები და დაწესებულებას გაეცნო ვიზიტისას გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები.

ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ და საქმიან ატმოსფეროში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

- დაწესებულების საუკეთესო გამოცდილებად ექსპერტებმა მივიჩნიეთ ურთიერთობები საკუთარ კურსდამთავრებულებთან, დაწესებულებას გაფორმებულია აქვს ხელშეკრულება, როგორც პრაქტიკის ბაზასთან, საკუთარ კურსდამთავრებულთან, რომელმაც განავითარა საკუთარი ფერმა და ხელს შუწყობს უკვე სხვა მსურველებს საკუთარი ბიზნესის უკეთ დაგეგმვაში.
- ასევე საუკეთესო გამოცდილებად მივიჩნიეთ ურთიერთობა სამცხე ჯავახეთის ვეტერინართა რეგიონალური ასოციაციასთან, სწავლების განხორციელებაში ჩართულია უშუალოდ ასოციაციის წარმომადგენელი, ასოციაციაში გაერთიანებულია 60- ზე მეტი ფერმერი, რაც საშუალებას მისცემს სწავლების პროცესში ჩართული პირის მეშვეობით რეალურ გარემოში გაეცნონ ფერმებში წარმოშობილ პრობლებს და გააითვალისწინონ მომავალ საქმიანობაში.

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

ქვესტანდარტი 1.1. (ავტორიზაციის დებულება მუხლი 6/პუნქტი ა)-<u>**შესრულებულია**</u>

ქვესტანდარტი 1.3. (ავტორიზაციის დებულება მუხლი 6/პუნქტი გ)-<u>**შესრულებულია**</u>

დუალური მიდგომით განსახორციელებელი საგანმანათლებლო პროგრამიდან „სასტუმრო საქმე“ ამოღებულია მოდული „საწარმოო პრაქტიკა“ - ბრძ. N 77; 06.08.2019წ.

ქვესტანდარტი 1.1. (ავტორიზაციის დებულება მუხლი 6/პუნქტი ა)-<u>**შესრულებულია**</u>

ვებტექნოლოგიების პროგრამაში შეტანილია ცვლილება და საგანმანათლებლო პროგრამაში ასახულია ინფორმაცია არჩევითი მოდულის შესახებ-ბრძ. N 77; 06.08.2019წ.

ქვესტანდარტი 1.2. (ავტორიზაციის დებულება მუხლი 6/პუნქტი ბ)-<u>**შესრულებულია**</u>

პროგრამების კატალოგში გაწერილია თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები და შეფასების წესი.

ქვესტანდარტი 1.4. (ავტორიზაციის დებულება მუხლი 6/პუნქტი დ)-<u>**შესრულებულია**</u>

სსიპ კოლეჯ „ოპიზარის სასწავლო პროცესის რეგულირების წესის“ მე-12 მუხლის, 12.9 პუნქტს დაემატა ლ) ქვეპუნქტი და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ჩამოყალიბდა რედაქციით „არასრულწლოვანმა სხვა დოკუმენტებთან ერთად უნდა წარმოადგინოს დაბადების მოწმობის ასლი და მისი წარმომადგენლის (მშობელი/მეურვე) პირადობის მოწმობის ასლი, რომლითაც დასტურდება კანონიერი წარმომადგენლობა“ -ბრძ. N 78; 06.08.2019წ ;

ქვესტანდარტი 2.9. (ავტორიზაციის დებულება მუხლი 7/პუნქტი ი)-**შესრულებულია ნაწილობრივ**

დაწესებულებაში ავტორიზაციის ექსპერტთა წინა ვიზიტის დროს გაიცა რეკომენდაცია: „სტრატეგიული განვითარების გეგმაში სტრატეგიულ მიზნებთაან და ამოცანებთან ერთად გაწერილია შესრულების ინდიკატორები პასუხისმგებელი პირები და ანგარიშგების პერიოდი თუმცა სასურველია შესრულების ინდიკატორები ამოცანებიდან გამომდინარე უფრო მეტად დაკონკრეტდეს და გახდეს გაზომვადი. 2019 წლის ერთწლიანი განვითარების სამოქმედო გეგმა არ იძლევა გაზომვად, კონკრეტულ, მიღწევადი მიზნების შესაბამის ინდიკატორებისა და ინფორმაციის წყაროებს, რომელიც კოლეჯს ისცემს შესაძლებლობას დაინახოს პროგრესი. შესაბამისად სასურველია გაიწეროს გაზომვადი და მიღწევადი ინდიკატორები“ გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულებამ ნაწილობრივ გაითვალისწინა რეკომენდაციები, სამოქმედო გეგმაში შეტანილია მიზანი, გასატარებელი ღონისძიებები, ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირი, შესრულების ინდიკატორი და შესრულების სავარაუდო პერიოდი, შეცვალა შესრულების ინდიკატორის ფორმულირება, თუმცა მაინც არ არის გაზომვადი.

ქვესტანდარტი 3.1. (ავტორიზაციის დებულება მუხლი 8/პუნქტი ა)-**შესრულებულია**

ქვესტანდარტი 3.2. (ავტორიზაციის დებულება მუხლი 8/პუნქტი ა)-**შესრულებულია**

პერსონალის პირადი საქმეები მოწესრიგებულია, მათში განთავსებულია რეგულაციით გაწერილი ყველა დოკუმენტი.

VI.გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ინდიკატორი 1.2.1.3

სტრატეგიულ გეგმა (2019-2025წ.წ.) **არ მოიცავს სტრატეგიული მიზნის მისაღწევად შესასრულებელ ამოცანებს**, რასაც გავყავართ ავტორიზაციის პირველი სტანდარტის დარღვევაზე, ამიტომ დაწესებულებამ სტრატეგიული გეგმა უნდა მოიყვანოს 1.2.1 კომპონენტის მე-3 ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ინდიკატორი 4.1.1.3

დაწესებულებამ ვერიფიკაციის მექანიზმი შესაბამისობაში უნდა მოიყვანოს ავტორიზაციის სტანდარტის 4.1.1. კომპონენტთან.

დაწესებულების მიერ დამტკიცებული რეგულაციით - „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგების შეფასების წესი“ - იკვეთება ავტორიზაციის მეოთხე სტანდარტის დარღვევა, არაა დაცული ინტერესთა კონფლიქტი, ხარისხის მართვის მენეჯერი არ უნდა იყოს ჩართული შეფასების ინსტრუმენტის შემოწმების პროცესში სწავლის შედეგების დადასტურებამდე, ხარისხის მართვის მენეჯერმა უნდა შეასრულოს მაკონტროლებელის ფუნქცია, ასევე საკუთარი შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაციის პროცესში არ უნდა იყოს ჩართული მოდულის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებელი.

VII. რეკომენდაციების შეჯამება

შესაბამისობის რეკომენდაცია

კომპონენტი 2.4.2. სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

სასურველია დაწესებულებამ გადახედოს „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგების შეფასების წესში“ გაწერილ ვერიფიკაციის მექანიზმს და ვერიფიკაციის პროცესის ქმედითობისათვის გამიჯნოს ვერიფიკაციის ეტაპებისთვის პასუხისმგებელი პირები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

განვითარების რეკომენდაცია

წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულებას **ქვესტანდარტი 2.9.** (ავტორიზაციის დებულებია მუხლი 7/პუნქტი ი) (შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები) გაცემული რეკომენდაცია გათვალისწინებული აქვს ნაწილობრივ, კერძოდ სამოქმედო გეგმაში შეტანილია მიზანი, გასატარებელი ღონისძიებები, ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირი, შესრულების ინდიკატორი და შესრულების სავარაუდო პერიოდი, **შეცვალა შესრულების ინდიკატორის ფორმულირება, თუმცა მაინც არ არის გაზომვადი, რეკომენდებულია დაწესებულებამ გადახედოს ინდიკატორებს და გახადოს გაზომვადი.**

კომპონენტი 2.1.1. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

დაწესებულებას, როგორც მატერიალური და ადამიანური რესურსის, ისე პრაქტიკის ობიექტების რესურსის გათვლთ, რეალურად აქვს შესაძლებლობა უფრო მეტი რაოდენობის პროფესიული სტუდენტი მიიღოს ვიდრე მოთხოვნილი აქვს, პროფესიული სტუდენტის ზღვრული რაოდენობის გაანგარიშებისას სასურველია დაწესებულებამ გაითვალისწინოს პროგრამის განხორციელების სპეციფიკა, საკუთარი მატერიალური და ადამიანური რესურსი და ასევე პრაქტიკის ობიექტების შესაძლებლობები და გამტარიანობა.

- <u>სასურველია დაწესებულებამ გადახედოს „პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიას“, რათა რეალურად მოახდინოს საკუთარი რესურსების შეფასება.</u>

კომპონენტი 2.4.1. სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

დაწესებულებას ხელშეკრულებით არ ქონდა გაწერილი თუ რამდენი პროფესიული სტუდენტის მიღების საშუალება აქვს თითოეულ პრაქტიკის ობიექტს, თუმცა პრაქტიკის ორ მსხვილ (მემცენარეობის და მეცხოველეობის) ობიექტზე ვიზიტისას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

და წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მარტო ეს ორი ობიექტი შეძლებს მოთხოვნილი რაოდენობის პროფესიული სტუდენტის მიღებას.

- <u>დაწესებულებამ ხელშეკრულებებში და მემორანდუმებში მიუთითოს რა რაოდენობის პროფესიული სტუდენტის მომსახურება შეუძლია პრაქტიკის ობიექტს.</u>

VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	ფერმერობა
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სოფლის მეურნეობაში / Secondary Vocational Qualification in Agriculture
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0811
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	29.05.2020 წ. N 24

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	ქ. ახალციხე რუსთაველის ქ.# 111
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	30 (ოცდაათი) სტუდენტი ქ. ახალციხე რუსთაველის ქ.#111; მოდულური
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან,პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს*(არსებობის შემთხვევაში).*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	93
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	123

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

VII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒	☐	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამისგანხორციელებისრესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლოპროგრამებისშეფასებადაგანვითარება	სრული3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებასდაშეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას დაშეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „სსიპ კოლეჯის „ოპიზარი“ სასწავლო პროცესის რეგულირების წესი“ (დამტკ.ბრძ. N42; 31.05.2019), მუხლი 2 და მუხლი 3-ით გაწერილია - „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება“, რომლის თანახმად „კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (პროექტის) შემუშავება ხდება დარგობრივი კათედრების სხდომებზე დირექტორის მოადგილის უშუალო ხელმძღვანელობით და მტკიცდება დირექტორის მიერ ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში / მოდულების ადაპტირებაში მონაწილეობას ღებულობენ: პროგრამების ხელმძღვანელები, ზოგადი მოდულების, ასევე შესაბამისი დარგის პროფესიული მასწავლებლები; კოლეჯის დარგობრივი კათედრები კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე იწყებს ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებას და /ანახორციელებს არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ადაპტირებას; დარგობრივი კათედრების მიერ მომზადებული საგანმანათლებლო პროგრამა დასამტკიცებლად წარედგინება კოლეჯის დირექტორს. დასამტკიცებლად წარდგენილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროექტს თან ერთვის: სასწავლო გეგმა, პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური, სასწავლო და ადამიანური რესურსების ჩამონათვალი, დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნის არსებობის შესახებ, პარტნიორ კომპანიებთან არსებული შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტი (მემორანდუმი / ხელშეკრულება) პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში კოლეჯთან თანამშრომლობის შესახებ. პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი საერთო რაოდენობის დასაბუთება. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, შრომის ბაზრის მოთხოვნის, ცენტრის მიერ განხორციელებული ცვლილებების და/ან სხვა გარემოებების საფუძველზე. პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია ხარისხის მართვის მენეჯერს, პროგრამის ხელმძღვანელს, პროგრამის განმახორციელებელ ნებისმიერ პირს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვის მხარდაჭერის ჯგუფის წევრ(ებ)ს, რის შედეგადაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

განიხილება დარგობრივი კათედრის სხდომაზე. ინიცირება დასაბუთებულად უნდა იქნას წარმოდგენილი წერილობით სახით. პროგრამაში ცვლილების შეტანა ხორციელდება პროგრამის შემუშავების პროცედურების შესაბამისად. პროგრამაში ცვლილების შეტანის შემთხვევაში შესაბამის სამართლებრივ აქტში განისაზღვრება სამართლებრივი აქტის ამოქმედდების ვადა და სასწავლო ჯგუფები, რომლებზეც სამართლებრივი ან ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე ვერ გავრცელდება აღნიშნული ცვლილება.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის გაუმჯობესების, დახვეწის, საზოგადოებისათვის უკეთესი მომსახურების შეთავაზების მიზნით, კოლეჯმა შეიძლება შეცვალოს ან გააუქმოს საგანმანათლებლო პროგრამა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, კოლეჯისთვის მნიშვნელოვანია შესაბამისი პროგრამის პროფესიული სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა. მიმდინარე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების ან შეცვლის შესახებ მოტივირებულ გადაწყვეტილებას ღებულობს კოლეჯის დირექტორი კოლეჯში შექმნილი სამუშაო ჯგუფის (შესაბამისი პროგრამის სპეციალისტების, დამსაქმებლების და სასწავლო პროცესში ჩართული სხვა პირების) დასკვნის საფუძველზე; პროფესიული სტუდენტის ინტერესების დაცვისა და შემდგომი განათლების უზრუნველყოფის მიზნით, სამუშაო ჯგუფი ვალდებულია შეისწავლოს გასაუქმებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მომიჯნავე პროგრამასთან გაერთიანების შესაძლებლობის საკითხი და ინფორმაცია მიაწოდოს როგორც პროფესიულ სტუდენტს ასევე კოლეჯის ადმინისტრაციას. ამავე დროს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმებამდე მოიძიოს სხვა ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულება და შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის არსებობის შემთხვევაში ინფორმაცია მიაწოდოს პროფესიულ სტუდენტს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გაერთიანების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით, კოლეჯში დასაშვებია მხოლოდ მომიჯნავე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გაერთიანება. გაერთიანებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს პროფესიული სტუდენტების მიერ უკვე გავლილი სწავლის შედეგების აღიარებას. კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, კოლეჯი სტუდენტთან შეთანხმების გზით, უზრუნველყოფს მის გადაყვანას ამავე კოლეჯის სხვა პროგრამაზე, ხოლო თუ კი ეს ვერ ხერხდება მობილობისათვის დადგენილ წესებთან შეუსაბამობის გამო,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კოლეჯი სტუდენტს შესთავაზებს გარე მობილობას და თანხმობის შემთხვევაში უზრუნველყოფს მის გადაყვანას იმ ალტერნატიულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელთანაც გაფორმებული აქვს მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ. მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შესახებ, ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ შემუშავებული დასკვნისა და კოლეჯის დირექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, პროფესიულ საგანამანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებს უნდა მიეცეთ მიმდინარე დონის დასრულების შესაძლებლობა მილევად რეჟიმში. არსებული მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შესახებ, კოლეჯის დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და წერილობით აცნობებს სსიპ - ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებაში შესაბამისი ცვლილების შეტანის თხოვნით.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფერმერობა“ განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება ეყრდნობა რეგიონის გეოგრაფიულ არეალს და მოთხოვნებს კერძოდ, დაწესებულება ეყრდნობა 2019 წლის საქართველოს ფერმერთა ასოციაციის დაკვეთით ეკონომიური პოლიტიკის კვლევის ცენტრის მიერ ჩატარებულ კვლევას, რომელიც მიმართული იყო გამოევლინა სოფლის მეურნეობის პერსპექტიული დარგები ოთხ შერჩეულ რეგიონში: კახეთი, მცხეთა-თიანთი, სამცხე-ჯავახეთი და ქვემო ქართლი, კვლევა მოიცავს ოფიციალური წყაროების ანალიზის გზით მიღებულ დასკვნებს, რომელშიც სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მკვეთრადაა გამოკვეთილი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოშენების პოტენციალი, ასევე მეფუტკრეობა, მებოსტნეობა და მეკარტოფილეობა.

დაწესებულება ასევე ეყრდნობა 2020 წლის თებერვალში კოლეჯ ,,ოპიზარში“ შრომის ბაზრის არსებული მდგომარეობის შესწავლის მიზნით შემდგარ შეხვედრას ადგილობრივი მუნიციპალიტეტის, ფერმერთა ასოციაციის და შპს სასოფლო-სამეურნეო სამსახურის წარმომადგენლებთან. სადაც აღინიშნა, რომ ფერმერული მეურნეობების განვითარების ხელშეწყობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ადამიანური რესურსების მომზადება-გადამზადების პროცესს.

რეგიონის საჭიროებების და დამსაქმებლების მოთხოვნების გათვალისწინებით კოლეჯმა გადაწყვიტა საგანმანათლებლო პროგრამის “ფერმერობა“ განხორციელება. რაც ხელს შეუწყობს საჭირო კვალიფიციური კადრების მომზადებას. კურსდამთავრებულები თვითონ შეძლებენ მართონ თავიანთი მეურნეობა, მოიხმარონ თავიანთი სასოფლო-სამეურნეო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ტექნიკა, მოიწყონ მოსავალი და გაიტანონ ბაზარზე, ასევე საჭირო კადრები იქნებიან დამსაქმებლებისთვისაც, რაც სოფელს მისცემს განვითარების და წინსვლის საშუალებას.

გადამოწმდა საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესაბამისობა მისიასთან და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან მიმართებით.

კოლეჯის მისიაა „სასწავლებლის მომსახურებით დაინტერესებულ ყველა პირს მიაწოდოს პროფესიული განათლების მაღალი ხარისხის მომსახურება ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით და ამით შექმნას პირობები მათი საგანმანათლებლო მიზნების განხორციელებისა და წარმატებული თვითრეალიზაციისთვის მთელი სიცოცხლის მანძილზე“.

დაწესებულების შვიდწლიანი (2019-2025 წ.წ.) სტრატეგიული განვითარების გეგმით (დამტ. 2019 წლის 16 იანვრის კოლეჯის სამეთვალყურეო საბჭოს N1 სხდომის ოქმით, ცვლ. დირექტორის ბრძ.N1; 24.01.2020) და 2020წ. ერთწლიანი განვითარების სამოქმედო გეგმით (დამტ. დირექტორის ბრძ.N1; 24.01.2020) მიხედვით დაწესებულებას გათვალისწინებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის დამატება.

პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტების) საფუძველზე შექმნილ „ფერმერობის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში დეტალურადა ააღწერილი პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები- სრული ზოგადი განათლება.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების პროცედურებიშესაბამისობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის N152/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულებასთან“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

3. ესდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

კოლეჯის მიერ წარმოდგენილი „სსიპ კოლეჯის „ოპიზარი“ სასწავლო პროცესის რეგულირების წესი“ (დამტკ.ბრძ. N42; 31.05.2019წ.), მუხლი 39-ით გაწერილია „პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“, რომლის თანახმად „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების სპეციფიკის გათვალისწინებით მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ პროგრამების უმეტესი ნაწილი ითვალისწინებს პრაქტიკის კომპონენტს, რომელიც ხორციელდება პრაქტიკის ობიექტზე, სპეციალიზებულ სახელოსნოებში, ღია სივრცეში. შესაბამისად, A სასწავლო გარემო ერთ ცვლაში სწავლების შემთხვევაში საშუალოდ დატვირთულია 50%-ით, რაც დაწესებულებას საშუალებას აძლევს ერთ ცვლაში მიიღოს A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების ორმაგი, ხოლო ორ ცვლაში მუშაობის გათვალისწინებით ოთხმაგი რაოდენობა; B სასწავლო გარემოში სტუდენტი წლიური 60 კრედიტიდან ითვისებს საშუალოდ 3-კრედიტს. შესაბამისად, B სასწავლო გარემო ერთ ცვლაში სწავლების შემთხვევაში დატვირთულია საშუალოდ 5%-ით, რაც დაწესებულებას საშუალებას აძლევს ერთ ცვლაში მიიღოს B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების ოცმაგი, ხოლო ორ ცვლაში მუშაობის გათვალისწინებით ორმოცმაგი რაოდენობა; კონტიგენტის რაოდენობის პროექტს თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შეიმუშავებს დაწესებულების პერსონალი პროგრამის ხანგძლივობის, სასწავლო გარემოს, აღჭურვილობის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, პრაქტიკის ობიექტების და მასწავლებლების რაოდენობის შესაბამისად“.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის კვოტის განსაზღვრის ცხრილის“ თანახმად „ფერმერობის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მოთხოვნილია კვოტა 30 პროფესიულ სტუდენტზე, პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილია ერთი A გარემო (აუდიტორია 203), ერთი B გარემო და 2 A-C გარემო (აუდიტორია 305(ვერტერინარიული) და 211(ფერმერობა, აგრომექანიზაცია)), თითოეული გარემოს ფართი და მატერიალური რესურსი გათვლილია 15 პროფესიულ სტუდენტზე, გარემოს და პრაქტიკულ კომპონენტში ჩართული პარტნიორების გათვალიწინებით დაწესებულბას შეეძლო საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა უფრო მეტი რაოდენობა მოეთხოვა, საერთო რაოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებულია, პროფესიული განათლების მასწავლებლის (საშტატო) დატვირთვა, ასევე რომ ის გარდა საკონტაქტო საათებისა, მონაწილეობს სხვა სამუშაოების შესრულებაშიც (მოდულის ადაპტირება, შეფასების ინსტრუმენტების შექმნა, ვერიფიკაცია, სტუდენტთა ნაშრომების გასწორება, შეფასების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროცესი, პროფესიული განვითარება, მონაწილეობა სამუშაო და ადმინისტრაციულ შეხვედრებში და ზოგჯერ- გარკვეული ადმინისტრაციული ფუნქციების შესრულებაც).

- <u>სასურველია დაწესებულებამ გადახედოს „პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიას“, რათა რეალურად მოახდინოს საკუთარი რესურსების შეფასება.</u>

დაწესებულებას, როგორც მატერიალური და ადამიანური რესურსის, ისე პრაქტიკის ობიექტების რესურსის გათვლთ, რეალურად აქვს შესაძლებლობა უფრო მეტი რაოდენობის პროფესიული სტუდენტი მიიღოს ვიდრე მოთხოვნილი აქვს, პროფესიული სტუდენტის ზღვრული რაოდენობის გაანგარიშებისას დაწესებულებამ გაითვალისწინოს პროგრამის განხორციელების სპეციფიკა, საკუთარი მატერიალური და ადამიანური რესურსი და ასევე პრაქტიკის ობიექტების შესაძლებლობები და გამტარიანობა.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

<u>**გადმოგზავნილ მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსი რელევანტურია თითოეული მოდულის სწავლის შედეგების მისაღწევად.**</u> საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ტექნიკური აღჭურვილობის რესურსი წარმოდგენილია განაცხადის №4 დანართის სახით, სადაც მოცემულია პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო აღჭურვილობის ჩამონათვალი, რაოდენობა და ტექნიკური მახასიათებლების შესახებ ინფორმაცია. ვიზიტამდე წარმოდგენილი დანართი შეედარა „ფერმერობის“ საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამის ჩარჩო-დოკუმენტით დამტკიცებულ სარეკომენდაციო მინიმალურ ტექნიკურ აღჭურვილობას. შედარებითი დათვალიერებით მატერიალური რესურსი შეესაბამება ჩარჩო დოკუმენტით დადგენილ დასახელებებსა და რაოდენობებს.

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

პროგრამას არჩევითი მოდული არ გააჩნია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Erasor Free

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

<u>საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის დირექტორის მიერ</u> 2020 წლის 29 მაისის ბრძ. N24, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 19.06.2019წ N127/ნ ბრძანებით დამტკიცებულია სსიპ-კოლეჯ „ოპიზარის“ წესდება, რომლის მუხლი 5, ი) პუნქტით, დირექტორი საქართველოს კანონმდებლობითა და წესდებით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს - ბრძანებას.

დაწესებულებას შემუშავებული და 2019 წლის 31 მაისის N42 (ცვლ.ბრძ.N136 31.12.2019 წ.) ბრძანებით დამტკიცებული აქვს „სსიპ კოლეჯის „ოპიზარი“ სასწავლო პროცესის რეგულირების წესი“ რომლის მუხლი 3, პუნქტი 3.2-ის თანახმად პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ამტკიცებს დირექტორი.

კოლეჯში საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცება ხდება დაწესებულების მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. <u>**საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის დირექტორის მიერ**</u> **2020 წლის 29 მაისის ბრძ. N24.**

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

„ფერმერობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შეიქმნა საგანმანათლებლო სტანდარტის „სოფლის მეურნეობის“ ერთ-ერთი კონცენტრაციის ფერმერობის მიმართულების საფუძველზე, პროგრამის სახელწოდება იდენტურია კონცენტრაციის დასახელების, შეესაბამება პროგრამის შინაარსს/მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

პროგრამის შემუშავების საფუძველს წარმოადგენს „სოფლის მეურნეობის“ ჩარჩო დოკუმენტის (საგანმანათლებლო სტანდარტის) ერთ-ერთი კონცენტრაცია „ფერმერობა“, სარეგისტრაციო ნომერი: 09114-პ; პროგრამის ძირითადი დოკუმენტით განსაზღვრულია: პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სწავლების მეთოდოლოგია. კოლეჯის მიერ წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა. <u>**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.**</u>

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ - კოლეჯ „ოპიზარის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, „ ფერმერობის “ დამატების მიზანშეწონილობა;
- სსიპ-კოლეჯის „ოპიზარის“ „სასწავლო პროცესის რეგულირების წესი“ მუხლი. 2, მუხლი 3; მუხლი 39 (დამტკ.ბრძ.N 42 31.05.2019 წ; ცვლ.ბრძ.N136 31.12.2019 წ.);
- დარგობრივი კათედრის სხდომის ოქმი N8; 28.05.2020
- საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების აქტი დირექტორის ბრძ.N24; 29.05. 2020წ.
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, მოდულები, სასწავლო გეგმა;
- პრაქტიკის ობიექტებთან დადებული ხელშეკრულებები;
- პრაქტიკის ობიექტებთან დადებული ხელშეკრულება #23; 28.05.2020წ საქართველოს საბაჟო დეპარტამენტი
- 2020 წ. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა
- „სოფლის მეურნეობის“ პროფესიული სტანდარტი
- კოლეჯის წესდება (დამტკიცებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 19.06.2019წ; N127/ნ ბრძანებით)
- ინტერვიუს შედეგებით

შეფასება:

☒შეესაბამება
☐მეტწილად შეესაბამება
☐ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

დაწესებულებას პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილი აქვს ერთი A გარემო (აუდიტორია 203) გათვლილი 15 პროფესიულ სტუდენტზე(მაგიდა სკამი), აუდიტორიაში განთავსებული 4 კომპიუტერი პროფესიული სტუდენებისათვის, სასწავლო თვალსაჩინოებები, დაფა, დემონსტრირების ციფრული საშუალება, მასწავლებლის სკამი, მაგიდა, კომპიუტერი. ერთი B გარემო გათვლილი 15 პროფესიულ სტუდენტზე(მაგიდა სკამი), მასწავლებლის მაგიდა, სკამი, კომპიუტერი, დაფა, დემონსტრირების ციფრული საშუალება, ეკრანი, კომბაინი(პრინტერი, ქსეროქსი, სკანერი), A-C გარემო (აუდიტორია 305(ვერტერინარიული)) გათვლილი 15 პროფესიულ სტუდენტზე (მაგიდა სკამი), 3 კომპიუტერი პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სტუდენტებისათვის, დაფა, დემონსტრირების ციფრული საშუალება, მასწავლებლის სკამი, მაგიდა, კომპიუტერი, სასწავლო თვალსაჩინოებები, ციფრული დემონსტრირების საშუალება, მაცივარი, მიკროსკოპი ციფრული კამერით, კარადები მედიკამენტებით, დაცვის საშუალებები, აფთიაქი, პორტატული რენტგენის აპარატი, და სხვა აღჭურვილობა განაცხადის დანართი 4 შესაბამისად; A-C გარემო (აუდიტორია 211(ფერმერობა, აგრომექანიზაცია)), გათვლილია 15 პროფესიულ სტუდენტზე(მაგიდა სკამი), დაფა, დემონსტრირების ციფრული საშუალება, მასწავლებლის სკამი, მაგიდა, კომპიუტერი, სასწავლო თვალსაჩინოებები, ციფრული დემონსტრირების საშუალება, ბროშურები, კარადები მედიკამენტებით, დაცვის საშუალებები, აფთიაქი, მცირე ზომის აღჭურვილობა განაცხადის დანართი 4 შესაბამისად, დაწესებულებას აქვს საკუთარი სადემონსტრაციო ნაკვეთები და მიწის ფართი სადაც განთავსებულია მექანიზაციისათვის განკუთვნილი ყელა ტექნიკა, დაწესებულებას ასევე საკუთრებაში აქვს სატრანსპორტო საშუალება, რომლის საშუალებითაც გადაადგილდებიან სპროფესიული სტუდენტები პრაქტიკის ობიექტებზე.

<u>პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, ტექნიკური აღჭურვილობა სრულ შესაბამისობაშია განაცხადის დანართით წარმოდგენილ ჩამონათვალთან.</u>

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

პროგრამას ემსახუხება 11 პროფესიული მასწავლებელი, აქედან 4 ზოგადი მოდულის განმახორციელებელი და 7 პროფესიული მოდულების. პროფესიულ მასწავლებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში არ იყო გათვალისწინებული პროფესიული მასწავლებლის და პროგრამის ხელმძღვანელის მოვალეობები და არც სხვა აქტივობები როგორიცაა: შეფასების ინსტრუმენტების მომზადება და მათი ვალიდაციის პროცესში მონაწილეობა; კალენდარული გეგმების შედგენა; კონსულტაციების ჩატარება; სტუდენტთა ნაშრომების შემოწმება; სხვადასხვა სამუშაო ჯგუფების თუ მართვის კოლეგიალური ორგანოების მუშაობა (დანართი 3), ვიზიტის დასრულებამდე დაწესებულებამ წარმოადგინა განახლებული ხელშეკრულებების შაბლონები (დანართი 4 და დანართი 5) როგორც პროფესიული მასწავლებლისთვის ისე პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელისათვის, რომლებშიც გაწერილი იყო სამუშაო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
აღწერილობის შესაბამისად ყველა განსახორციელებელი აქტივობა.

პროგრამის განმახორციელებელ პირთა რაოდენობა, მათი შესაბამისობა პროფესიული სტუდენტების რაოდენობასთან და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების და მათზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების ჯეროვნად შესრულებას, რითაც დასტურდება საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობა.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პროფესიულ მასწავლებთან გასაუბრებით მათი მხრიდან გამოვლინდა დარგის შესაბამისი თეორიული და პრაქტიკული გამოცდილება. მუდმივად აქვთ პროფესიული განვითარების მზაობა რაც ვლინდება მათ მიერ განვლილი ტრენინგებით აღნიშნულის დამადასტურებელი სერთიფიკატები იდო პირად საქმეებში. ისინი ჩართულები არიან გაეროსა და სხვა არასამთავრებო ორგანიზაციების მიერ დაგეგმილ პროექტებში. მუდმივად მზად არიან სიახლეებისათვის.

პროფესიული პროგრამის განმახორციელებელი პირების პირადი საქმეების გადამოწმებით და დაწესებულების „პერსონალის სამსახურში მიღების წესის“(დამტკ. 10.07.2014წ; ბრძ. N03; ცვლ. 24.08.2018; ბრძ.N72 და 17.06.2020 წ; ბრძ. 31) მუხლი 4. განსაზღვრული მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნების საფუძველზე დადგინდა, რომ <u>**დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები შესაბამებიან დაკავებულ თანამდებობს.**</u>

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

დაწესებულების „ პერსონალის სამსახურში მიღების წესის“(დამტკ. 10.07.2014წ; ბრძ. N03; ცვლ. 24.08.2018; ბრძ.N72 და 17.06.2020 წ; ბრძ. 31) მუხლი 8. პროგრამის ხელმძღვანელს ირჩევს დარგობრივი კათედრა და გაწერილია უფლებამოსილება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დაწესებულებას განსაზღვრული არ ჰქონდა საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხვნები. რაც ჩაასწორა და წარმოადგინა, დირექტორის ბრძ.N34; 01.07.2020. (დანართი 2)

<u>საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რაც დადასტურდა პირადი საბუთებით და გასაუბრებით.</u>

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

ექსპერტთა მიერ, მოდულებში მითითებული სასწავლო ლიტერატურიდან შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა სახელმძღვანელოები. საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკაში ელექტრონული ან მატერიალური სახით, გაფორმებულია საბიბლიოთეკო წესით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

დაწესებულებას ჰყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების ორი შტატგარეშე სპეციალისტი და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ასისტენტი (შტატგარეშე თანამშრომელი) რომელებიც საჭიროების შემთხვევაში მასწავლებლეთან ერთად შეიმუშავებენ პროგრამის შესაბამის ინდივიდუალურ გეგმას, ადაპტირებულს სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად; ასევე დაწესებულება უზრუნველყოფს სსსმ პირებისათვის ინიდიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურებას, მათ შორის საგანმანათლებლო სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობას. დაწესებულებაში დამონტაჟებულია ლიფტი, რაც სსსმ პირს საშუალებას აძლევს წვდომა ქონდეს ნებისმიერ სასწავლო რესურსთან.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დაწესებულებამ განაცხადით წარმოადგინა პროგრამის განხორციელების საპროგნოზო ბიუჯეტი. ბიუჯეტში გაწერილია შემოსავლისა და ხარჯების სახეები. პროგრამა ფინანსურად მდგრადია, რადგან პროგრამის დამატება, განხორციელება და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

მიმდინარეობა ფინანსურად უზრუნველყოფილია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ, კოლეჯი ვაუჩერული დაფინანსების სახით იღებს სახელმწიფოსგან თითოეული სტუდენტის საწავლის საფასურს კოლეჯში განსახორციელებელი მოდულების ღირებულების შესაბამისად მთლიან პროგრამაზე. ვაუჩერული დაფინანსებიდან გაიცემა პროფესიული განათლების მასწავლებლების შრომის ანაზღაურება (საათების რაოდენობა გაწერილია შრომით ხელშეკრულებაში), პროგრამის სასწავლო მასალების შეძენის ხარჯი, არსებობის შემთხვევაში- პროგრამით გათვალისწინებული სხვა აქტივობების ორგანიზებასთან დაკავშირებული ხარჯები (სასწავლო ექსკურსიები, პრაქტიკის ობიექტზე გადაადგილება და სხვა). პროგრამის ბიუჯეტის გათვლის დროს გათვალისწინებულია რენტაბელური სტუდენტთა რაოდეონობა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- განაცხადით წარმოდგენილი მატერიალური რესურსის ფლობის დოკუმენტაცია;
- ბიბლიოთეკის წიგნადი და ელექტრონული ფონდი;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები;
- „ პერსონალის სამსახურში მიღების წესი“(დამტკ. 10.07.2014წ; ბრძ. N03; ცვლ. 24.08.2018; ბრძ.N72 და 17.06.2020 წ; ბრძ. 31)
- პროფესიული განათლების მასწავლებლის ხელშეკრულებები(დანართი 3, დანართი 4; დანართი 5)
- დირექტორის ბრძ.N34; 01.07.2020.
- ინტერვიუს შედეგები

შეფასება:

☒შეესაბამება

☐მეტწილად შეესაბამება

☐ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებსპროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

დაწესებულების "სასწავლო პროცესის რეგულირების წესი" (დამტკ. 31.05.2019; ბრძ. N42) და „ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმი" (ბრძ. N15; 06.03.2020წ) რომელიც მოიცავს ხარისხის კონტროლის ციკლურ სისტემას „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე" ითვალისწინებს კოლეჯის მიერ კერძო სექტორთან მუდმივი თანამშრომლობისა და განხორციელებული მოკვლევის საფუძველზე კოლეჯში ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მომზადების ინიციატივას. კოლეჯის დარგობრივი კათედრები კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე იწყებს ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებას და /ანახორციელებს არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ადაპტირებას. პარტნიორ დამსქმებლებთან კომუნიკაციის გაუმჯობესების მიზნით დაწესებულებამ შეიმუშავა ახალი კითხვარი და განახორციელებს მის დატესტვას; ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებით განსაზღვრულია პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასებისა და საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების საჭიროებების გამოვლინების უზრუნველყოფა: ლექციებზე ურთიერთდასწრების, გამოცდილებათა გაზიარების, გაკვეთილზე დასწრების კითხვარის ანალიზით, კურსდამთავრებულების, პროფესიული სტუდენტების და პროფესიული მასწავლებლების გამოკითხვით, რეკომენდაციები გაცემით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2. ესდ ანალიზებსპროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დაწესებულებას "სასწავლო პროცესის რეგულირების წესით" (დამტკ. 31.05.2019; ბრძ. N42) შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესები;

პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების, შრომის ბაზრის მოთხოვნის (არჩევითი მოდულის შემთხვევაში) ან სხვა გარემოებების საფუძველზე. პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერს, პროგრამის ხელმძღვანელს, მოდულის განმახორციელებელ ნებისმიერ პირს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვის მხარდაჭერის ჯგუფის წევრ(ებ)ს, რის შედეგადაც განიხილება დარგობრივი კათედრის სხდომაზე.

პროგრამაში ცვლილების შეტანის შემთხვევაში შესაბამის სამართლებრივ აქტში უნდა განისაზღვროს სამართლებრივი აქტის ამოქმედების ვადა და სასწავლო ჯგუფები, რომლებზეც სამართლებრივი ან ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე ვერ გავრცელდება აღნიშნული ცვლილება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- "სასწავლო პროცესის რეგულირების წესი" (დამტკ. 31.05.2019; ბრძ. N42; ცვლ.ბრძ.N136 31.12.2019 წ.)
- „ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმი"(ბრძ. N 15; 06.03.2020წ);
- გამოკითხვის კითხვარები;
- ინტერვიუ ხარისხის მართვის მენეჯერთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შეფასება:

☒შეესაბამება

☐მეტწილად შეესაბამება

☐ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთ აშეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;**

პროგრამას დანართის სახით ახლავს სასწავლო გეგმა, რომლის მიხედვითაც ხდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ორგანიზება. პროგრამის მოცულობაა 90 კრედიტი (მემცენარეობა--41 კრედიტის და მეცხოველეობის 31კრედიტის მოცულობით, პროგრამის ხანგრძლივობა - 17 სასწავლო თვე (65 სასწავლო კვირა), ქართული ენის მოდულების დამატების საჭიროების შემთხვევაში პროგრამის მოცულობაა 120 კრედიტი, პროგრამის ხანგრძლივობა - 22 სასწავლო თვე (88 კვირა), „ფერმერობის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში დაცულია მოდულზე დაშვების წინაპირობები, პროფესიული სტუდენტის სავარაუდო კვირეული დატვირთვა, პროფესიულ სტუდენტს ეძლევა ვადები მოდულების გადაბარებასთან დაკავშირებით. სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს პროგრამების თანმიმდევრულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

განხორციელებას;

2.პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

კოლეჯი გეგმავს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით. დასაქმებული სტუდენტების ერთ ჯგუფში გადანაცვლება და მათთვის ხელსაყრელი დროის მორგება, სეზონურობიდან გამომდინარე სასწავლო გეგმაში ცვლილების შეტანა და სხვ.

3. სასწავლოპროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

სასწავლო პროცესში თანამედროვე მეთოდების გათვალისწინებით გამოიყენება სწავლების შესაბამისი ტექნოლოგიები, რომელიც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას.

ყველა სასწავლო აუდიტორია/ლაბორატორია აღჭურვილია სწავლებისათვის საჭირო თანამედროვე ტექნიკითა და რესურსით, რაც უზრუნველყოფს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობას.

სწავლების მეთოდები აღწერილია მოდულებში. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი აღჭურვილია სწავლებისა და შეფასების სათანადო კომპეტენციებით. დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით ლექციების მსვლელობაში აქტიურად გამოიყენება, პრეზენტაციები და ვიზუალური ელექტრონული მასალები.

პრაქტიკის ობიექტებზე ვიზიტით დადგინდა, რომ პრაქტიკის ობიექტები აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით, რომელიც იძლევა თანამედროვე ტექნოლოგიებით სწავლის საშუალებას. პრაქტიკის ობიექტს - ვეტერინართა ასოციაციას - გააჩნია მობილური კლინიკა, ხელოვნური განაყოფიერების აპარატი, თესლის შესანახი ჭურჭელი. ვეტერინართა ასოციაცია მუდმივად ეკონტაქტება თავის წევრებს და აქტიურად არის ჩართული მათ საქმიანობაში, რაც შეძლება ჩაითვალოს კარგ გამოცდილებიად. ასოციაციის წევრები არიან ასევე კოლეჯის კურსდამთავრებულები.

დაწესებულებას დადებული აქვს მემორანდუმი სასოფლო სამეურნეო რესურსცენტრთან, თავისი აგრომაღაზიით რომლსაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

აქვს ნუთი ფილიალი და სტუდენტებს საშუალება ეძლევათ სხვადასხვა პრობლემების გააზრების, უშუალო შეხება აქვთ საკვლევი მასალის მიღების და ლაბორატორიაში გამოკვლევის. რესურსცენტრს გააჩნია თანამედროვე ტიპის ლაბორატორია, სადაც მიმდინარეობს ნიადაგის ნაყოფიერების დადგენა. საკვები ელემენტების მცენარის მიერ ხარჯვის დადგენა ფოთოლის ანალიზით. გააჩნიათ ფოტო მიკროსკოპი, რომელიც იძლევა მცენარის მავნებელ დაავადებების იდენტიფიცირებისა და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების დაგეგმვის საშუალებას. სასოფლო სამეურნეო რესურსცენტრს გააჩნია სასოფლო სამეურნეო სავარგულები, სადაც სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ჩაერთონ ადგილობრივი და შემოტანილი კულტურების მოვლა-მოყვანის პროცესში.

უნდა აღინიშნოს ასევე, რომ დაწესებულებას გააჩნია საკუთარი მიწის ფართობი და ყველანაირი აღჭურვილობა, რომელიც აძლევს საშუალებას ადგილზე განახორციელოს მემცენარეობის კონცენტრაციის პრაქტიკული კომპონენტი.

4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

“სასწავლო პროცესის რეგულირების წესით“ (დამტკ. 31.05.2019; ბრძ. N42; ცვლ.ბრძ.N136 31.12.2019 წ.) მუხლი 18[3]ა, საჭიროების შემთხვევაში მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე სსსმ პირებისათვის პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისათვის პროფესიული მასწავლებელი ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტთან ერთად შეადგენს მოდულების/ ინდივიდუალური შეფასების ინსტრუმენტს, სადაც გათვალისწინებული იქნება სტუდენტის საჭიროება (ნაწილობრივ დაქვეითებული სმენადობის, მხედველობის და სხვა).

“სასწავლო პროცესის რეგულირების წესის“ პუნქტი 25.14; 27.10, 28.4, 30.3 -ით განსაზღვრულია, ასევე ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის სხვა საჭიროებებიც, კერძოდ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის შესაძლებლობა შეიძლება დადგეს როცა პროფესიულ სტუდენტს შეჩერებული ჰქონდა სტატუსი და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას, მობილობის, ფორმალური განათლების აღირების და პროგრამაში ცვლილებების/გაუქმების შემთხვევაში. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში, ხოლო არასრულწლოვანი/ქმედუუნარო/შეზღუდულქმედუნარიანი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში შესაძლოა ჩართული იქნას მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა განსაზღვრული უნდა იქნას მოდულური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ვადის ფარგლებში.

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/ თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

კოლეჯს პროგრამის სრულყოფილად განხორციელების მიზნით გაფორმებული აქვს ხელშკრულებები პრაქტიკის ობიექტებთან:

1. [redacted] **ფერმერული მეურნეობა (ხელშ. N3; 06.02.2020წ).** ხელშეკრულებით გათვალისწინებულია თანამშრომლობა პროფესიული სტუდენტების მოდულური სწავლების სრულყოფის საკითხებში, როგორიცაა სასოფლო სამეურნეო ცხოველთა კეთილდღეობაზე ზრუნვა, შეწყვილება, კვება, მოვლა და სხვა. ხელშეკრულების ვადაა 3 წელი;
2. [redacted] **(ხელშ.N1; 06.02.2020წ).** ხელშეკრულებით გათვალისწინებულია თანამშრომლობა პროფესიული სტუდენტების მოდულური სწავლების სრულყოფის საკითხებში, როგორიცაა სასოფლო სამეურნეო ფრინველთა მოვლა, სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვა, კვება და სხვა. ხელშეკრულების ვადაა 3 წელი;
3. [redacted] **მეღორეობის ფერმა (ხელშ.N2; 06.02.2020წ).** ხელშეკრულებით გათვალისწინებულია თანამშრომლობა პროფესიული სტუდენტების მოდულური სწავლების სრულყოფის საკითხებში, როგორიცაა სასოფლო სამეურნეო ცხოველთა კეთილდღეობაზე ზრუნვა, შეწყვილება, კვება, მოვლა და სხვა. ხელშეკრულების ვადაა 3 წელი;
4. [redacted] **მეცხვარეობის კერძო მეურნეობა (ხელშ. N4. 10.02.2020წ).** ხელშეკრულებით გათვალისწინებულია თანამშრომლობა პროფესიული სტუდენტების მოდულური სწავლების სრულყოფის საკითხებში, როგორიცაა სასოფლო სამეურნეო ცხოველთა მოვლა, სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვა, კვება და სხვა. ხელშეკრულების ვადაა 3 წელი;
5. **სამცხე ჯავახეთის ვეტერინართა რეგიონალური ასოციაცია (ხელშ. N56; 25.06.18წ).** ხელშეკრულებით გათვალისწინებულია თანამშრომლობა, კერძოდ, სასწავლო პროცესში პროფესიული სტუდენტების მიერ მიღებული თეორიული ცოდნის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პრაქტიკულ საქმიანობაში განმტკიცების, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავების და შრომის ბაზრის კვალიფიციური კადრების მომზადებაში. ხელშეკრულების ვადაა 3 წელი;

6. სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია(ხელშ.N56; 25.06.2018წ). ხელშეკრულებით გათვალისწინებულია თანამშრომლობა, კერძოდ, სასწავლო პროცესში პროფესიული სტუდენტების მიერ მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში განმტკიცების, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავების და შრომის ბაზრის კვალიფიციური კადრების მომზადებაში.ხელშეკრულების ვადაა 3 წელი;

7. შ.პ.ს."მექანიზატორი" (ხელშ. N 15; 20.02.2020წ). ხელშეკრულებით გათვალისწინებულია თანამშრომლობა საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად გათვალისწინებული შედეგების მიღწევასა და განხორციელებაში, კერძოდ: ნიადაგის დამუშავების საფუძვლები. ხელშეკრულების ვადაა 3 წელი;

8. "ნოვატორ ფერმერი" (ხელშ. N16; 25.02.2020წ). ხელშეკრულებით გათვალისწინებულია თანამშრომლობა საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად გათვალისწინებული შედეგების მიღწევასა და განხორციელებაში, კერძოდ: 1. მდელოდ საკვების წარმოება; მდელოს მართვა; მოსავლის აღება და შენახვა; 2. ს/მ ცხოველთა საკვების კონსერვირება; 3. პროდუქციის რეალიზაცია, დასაწყობება სოფლის მეურნეობაში. ხელშეკრულების ვადაა 3 წელი;

9. "სასოფლო საკონსულტაციო სამსახური"(ხელშ.N 14; 25.03.2020წ). ხელშეკრულებით გათვალისწინებულია თანამშრომლობა საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად გათვალისწინებული შედეგების მიღწევასა და განხორციელებაში, კერძოდ: 1. თესლბრუნვა, თესვა და რგვა, მცენარეთათვის საკვები ნივთიერების განსაზღვრა, მცენარეზე მავნე ორგანიზმების ამოცნობა, მცენარეების საკვები ნივთიერებით უზრუნველყოფა; 2. მინდვრის, ბოსტნეული და საკვები კულტურების შერჩევა, საირიგაციო და სადრენაჟო სისტემის გამოყენება. ხელშეკრულების ვადაა 3 წელი;

ხელშეკრულებით განსაზღვრულია: ხელშეკრულების საგანი, მიზანი, მიზნების რეალიზაციის, მოქმედების ვადა, მხარეთა უფლება-მოვალეობები; პრაქტიკის ობიექტზე მისაღწევი სწავლის შედეგები; პრაქტიკის ობიექტის მხრიდან შრომის უსაფრთხოების წესების გაცნობის და დაწესებულების მხრიდან უსაფრთხოებისათვის განკუთვნილი სპეც-ტანსაცმლით უზრუნველყოფა.

განხორციელდა ვიზიტი პრაქტიკის ორ ობიექტზე ექსპერტების მიერ არჩეული იქნა **სასოფლო საკონსულტაციო სამსახური (ფერმერთა მომსახურების ცენტრი) და სამცხე ჯავახეთის ვეტერინართა რეგიონალური ასოციაცია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სასოფლო საკონსულტაციო სამსახურის (ფერმერთა მომსახურების ცენტრი) ოფისში მოწყობილია საკონფერენციო დარბაზი, რომელიც წარმომადგენლის განცხადებით გამოყენებული იქნება პრაქტიკაზე მყოფი სტუდენტებისათვის სიახლეების გასაზიარებლად, ცენტრს ოფისის შენობაში აქვს საკუთარი აგრომაღაზია, ასევე მის მფლობელობაშია 5 აგრომაღაზია, სადაც ხდება სტუდენტების გადანაწილება მომხმარებლებთან კავშირისათვის, პროფესიულ სტუდენტებს უშუალოდ აქვთ შეხება მემცენარეობასა და მეცხოველეობაში წარმოქმნილ პრობლემებთან, პროფესიულ სტუდენტებს საშუალება ეძლევათ სხვადასხვა პრობლემების გააზრების, საკვლევი მასალის მიღების და ლაბორატორიაში გამოკვლევის. ცენტრის მფლობელობაშია სადემონსტრაციო ნაკვეთები, სასოფლოსამეურნეო სავარგულები, სადაც სტუდენტებს შეხება აქვთ ადგილობრივი და შემოტანილი კულტურების მოვლა მოყვანის პროცესში ჩართვის. გააჩნია თანამედროვე ტიპის ლაბორატორია, სადაც მიმდინარეობს ნიადაგის ნაყოფიერების დადგენა. საკვებიელემენტების მცენარის მიერ ხარჯვის დადგენა ფოთოლის ანალიზით. გააჩნიათ ფოტო მიკროსკოპი, რომელიც საშუალებას იძლევა მცენარის მავნებელი დაავადებების იდენტიფიცირების და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების დაგეგმვის.

სამცხე ჯავახეთის ვეტერინართა რეგიონალური ასოციაციაშიც ასევე არის ფართი სადაც შესაძლებელია პროფესიული სტუდენტებისათვის ტრენინგის ჩარატება და ინფორმაციის მიწოდება, ცენტრის წარმომადგენელი უშუალოდაა ჩართული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში, ცენტრის ფუნქციებია ვეტერინართა წამლებით უზრუნველყოფა, ვაქცინაცია, ანალიზების ჩატარება მასტიტზე, მიკრობიოლოგიურ დაზიანებებზე, მის ფუნქციებშია მსხვილფეხა ცხოველთ განაყოფიერება, ასოციაციაში გაერთიანებულია 60 სრულუფლებიანი წევრი, ვეტერინარიული ასოციაცია მუდმივად ეკონტაქტება თავის წევრებს და აქტიურად არის ჩართული მათ საქმიანობაში, ასოციაციის წევრები არიან ასევე სასწავლებლის კურსდამთავრებულები. პრაქტიკის ობიექტში ფუნქციონირებს მობილური კლინიკა, გააჩნია ხელოვნური განაყოფიერების აპარატი, თესლის შესანახი ჭურჭელი.

დაწესებულებას ხელშეკრულებით არ ქონდა გაწერილი თუ რამდენი პროფესიული სტუდენტის მიღების საშუალება აქვს თითოეულ პრაქტიკის ობიექტს, თუმცა პრაქტიკის ორ მსხვილ (მემცენარეობის და მეცხოველეობის) ობიექტზე ვიზიტისას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

და წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მარტო ეს ორი ობიექტი შეძლებს მოთხოვნილი რაოდენობის პროფესიული სტუდენტის მიღებას.

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

„წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის წესი“ (დამტკ.ბრძ.N56; 13.06.2019წ), კოლეჯის შენობა და ეზო აღჭურვილია თანამედროვე ვიდეო სათვალთვალო კამერებით, შენობაში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, სადღეღამისო ცვლაში დასაქმებული დარაჯი უზრუნველყოფს აღნიშნული მექანიზმების გამოყენებით კოლეჯში წესრიგის დაცვას.

პრაქტიკის ობიექტზე უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად გათვალისწინებულია დარგის სპეციფიკური თავისებურებები, ფერმაში პერიოდულად მიმდინარეობს საქონლის დამუშავება, რაშიც გაცნობიერებულია პრაქტიკის ხელმძღვანელი და სტუდენტები მხოლოდ სპეციალური ტანსაცმლით და ხელთათმით დაიშვებიან. აგრეთვე აქვთ სხვადასხვა მოდულების პრაქტიკული ნაწილის შესასრულებლად საჭირო სპეცტანსაცმელი.

კოლეჯში უზრუნველყოფილია უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემო.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საგანმანათლებლო პროგრამა, სასწავლო გეგმა.
- “სასწავლო პროცესის რეგულირების წესი“ (დამტკ. 31.05.2019; ბრძ. N42; ცვლ.ბრძ.N136 31.12.2019 წ.)
- “სამედიცინო დახმარების მექანიზმები“ (დამტკ. ბრძ. N 03; 10.07.14წ),
- „წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის წესი“ (დამტკ.ბრძ.N56; 13.06.2019წ)
- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები
- ვიზუალური დათვალიერება
- ინტერვიუს შედეგები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
შეფასება:

☒ შეესაბამება

☐მეტწილად შეესაბამება

☐ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

დაწესებულების "სასწავლო პროცესის რეგულირების წესის" (დამტკ. 31.05.2019; ბრძ. N42) მუხლი 33, ითვალისწინებს შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებასა და შიდა მონიტორინგს, მტკიცებულებების შეგროვებასა და შენახვას, შეფასების პროცესის ადმინისტრირებას, შეფასების შედეგების გაცნობას პროფესიული სტუდენტისათვის, განმეორებით შეფასების წესებსა და შეფასების გასაჩივრების რეგულაციებს, დაწესებულების „ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმი"(ბრძ. N 15; 06.03.2020წ) ითვალისწინებს შეფასების ინსტრუმეტის ვალიდაციას, რომელსაც ახორციელებს შიდა ვერიფიკატორის ჯგუფი. შიდა ვრიფიკატორები ვალდებულნი არიან განიხილონ შეფასების ინსტრუმენტების პროექტები, შეითანხმონ ან/და შენიშვნებით და წინადადებებით გაუწიონ რეკომენდაცია გონივრულ ვადაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემა ეფუძნება ვალიდურობას, სანდოობას, გამჭირვალობასა და სამართლიანობას.

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

სსიპ კოლეჯის „ოპიზარი“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგების შეფასების წესის შესაბამისად (დამტკ. ბრძ.N42; 31.05.2019წ), ხარისხის მართვის მენეჯერი, ხარისხის მართვის სპეციალისტი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, დარგის სპეციალისტი/მასწავლებელი წარმოადგენენ შიდა შემმოწმებლებს (შიდა ვერიფიკატორებს) და სწავლის შედეგების დადასტურებამდე მოდულის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელთან ერთად ამოწმებენ შეფასების ინსტრუმენტს, თუ რამდენად თავსებადია მოდულით განსაზღვრულ შემდეგ მიმართულებასთან:

ა) არის თუ არა სტუდენტის შეფასების ფურცელში ნათლად გაწერილი თუ რა სახით და როდის უნდა მოხდეს სტუდენტის მიერ დავალების შესრულების წარდგენა;

ბ) არის თუ არა დავალება ნათელი და გასაგები თითოეული სწავლის შედეგისათვის;

გ) აქვს თუ არა დავალებას შესრულების შესაბამისი მოკლე, წერილობითი ინსტრუქცია;

დ) დავალებები მოიცავს თუ არა სწავლის შედეგის შესრულების ყველა კრიტერიუმს;

ე) არის თუ არა შესაბამისობაში დავალება და დავალების შესრულების წარმოსადგენი მტკიცებულება;

ვ) სტუდენტმა რა სახით და როდის უნდა წარმოადგინოს სწავლის შედეგების/შესრულების კრიტერიუმების დადასტურება;

ყოველი ახალი ჯგუფის შეფასების წინ მოხდება წინა შეფასებების განხილვა და წინა შეფასების შედეგად გამოვლენილი ხარვეზებისა და შენიშვნების გათვალისწინება.

შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს

თუმცა, დამტკიცებული რეგულაციით იკვეთება ავტორიზაციის სტანდარტის 4.1.1. კომპონენტის მე-3 ინდიკატორის დარღვევა, არაა დაცული ინტერესთა კონფლიქტი, ხარისხის მართვის მენეჯერი არ უნდა იყოს ჩართული შეფასების ინსტრუმენტის შემოწმების პროცესში სწავლის შედეგების დადასტურებამდე, ხარისხის მართვის მენეჯერმა უნდა შეასრულოს მაკონტროლებელის ფუნქცია, ასევე ვერიფიკაციის პროცესში არ უნდა იყოს ჩართული მოდულის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებელი.

<u>**დაწესებულებამ ვერიფიკაციის მექანიზმი შესაბამისობაში უნდა მოიყვანოს ავტორიზაციის სტანდარტის 4.1.1. კომპონენტთან.**</u>

ასევე, სასურველია დაწესებულებამ გადახედოს „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგების შეფასების წესში“ გაწერილ ვერიფიკაციის მექანიზმს და ვერიფიკაციის პროცესის ქმედითობისათვის გამიჯნოს ვერიფიკაციის ეტაპებისთვის პასუხისმგებელი პირები.

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

დაწესებულების “სასწავლო პროცესის რეგულირების წესით“ (დამტკ. 31.05.2019; ბრძ. N42) შეფასების მტკიცებულებები სასწავლო პროცესის ხარისხის შეფასების მნიშვნელოვანი მტკიცებულებაა. ამიტომაც მათი მოპოვების, აღრიცხვის, შენახვის და განკარგვის წესი შემუშავებულია კოლეჯის მიერ. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ცოდნის შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ ინფორმაციის/ მტკიცებულებები ინახება შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, ხოლო შეფასების უწყისები უვადოდ.

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

„ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმი“ (ბრძ. N15; 06.03.2020წ) ითვალისწინებს სასწავლო პროცესის ხარისხის შეფასების ინსტრუმენტებით გამოვლენილი ხარვეზების მიზეზების გამოვლენას და ხარისხის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით რეკომენდაციების შემუშავებას. ჯგუფურ და ინდივიდუალურ კონსულტაციებს პედაგოგებთან სწავლებისა და შეფასების საკითხებთან დაკავშირებით; არსებული საჭიროებების ანალიზის საფუძველზე პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამების მოდიფიცირებას დადგენილი პროცედურის შესაბამისად; გამოკითხვების/კვლევის ანალიზის შედეგების გამოყენებას სასწავლო პროცესის/პროგრამების გასაუმჯობესებლად. სასწავლო პროცესში გამოიყენება პროფესიულ სტუდენტთა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები, რომელთა მიზანია სტუდენტთა შემდგომი განვითარება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ კოლეჯის „ოპიზარი“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგების შეფასების წესი (დამტკ. ბრძ.N42; 31.05.2019წ)
- “სასწავლო პროცესის რეგულირების წესი“ (დამტკ. 31.05.2019; ბრძ. N42; ცვლ.ბრძ.N136 31.12.2019 წ.)
- „ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმი“(ბრძ. N 15; 06.03.2020წ);
- კითხვარები
- ინტერვიუს შედეგები

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒მეტწილად შეესაბამება

☐ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან,პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებითიმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი
დანართი 2. დირექტორის ბრძანება N34; 01.07.2020წ.
დანართი 3. პროფეაიულ მასწავლებლებთან და პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელთან გაფორმებული ხელშეკრულება;
დანართი 4. პროფესიულ მასწავლებელთან გასაფორმებელი ხელშკრულება;
დანართი 5. პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელთან გასაფორმებელი ხელშეკრულება;

23.07.20წ.
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: